ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 14 ივლისი 2022 წ.

ერთი მხრივ **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ს/კ 245428158** (შემდგომში - ,,ბსუ"), წარმოდგენილი ბსუ-ს რექტორის, პროფესორი მერაბ ხალვაშის და მეორე მხრივ, **ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი" ს/კ 445399391 (შემდეგში - აგროსერვისცენტრი"),** წარმოდგენილი დირექტორის რაულ თავართქილაძის (**შემდეგში ,,მხარეები"**) თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. შესავალი

ბსუ და **„აგროსერვისცენტრი"** ვითვალისწინებთ პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" (შემდეგში - პროგრამა) განხორციელების აუცილებლობას და ვთანხმდებით ვითანამშრომლოთ და ხელი შევუწყოთ აჭარის რეგიონში მაღალპროფესიული კადრების გადამზადებას.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი და საგანი

2.1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრს" შორის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით ერთობლივად განხორციელების შესახებ შეთანხმება, მცენარეთა დაცვის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, რომელიც აცნობიერებს მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო, ეროვნული კანონმდებლობის და რეგლამენტების მოთხოვნებს, შეეძლებათ მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა - გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით, რომელიც უზრუნველყოფს აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო -სამეურნეო კულტურებისთვის (**სუბტროპიკული, კენკროვანი, კაკლოვანი კულტურები, ასევე ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები და ვაზი**) ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

2.2. წინამდებარე მემორანდუმი არეგულირებს ბსუ-სა და **„აგროსერვისცენტრს"** შორის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა"- მსმენელების სწავლებიდან გამომდინარე ურთიერთობებს;

2.3. ბსუ უზრუნველყოფს პროგრამის მსმენელებისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამის იმ კომპონენტების სწავლებას და შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია ერთობლივად შემუშავებული პროფესიული მომზადების პროგრამით;

2.4. **„აგროსერვისცენტრი"** უზრუნველყოფს პროგრამის მსმენელებისათვის (მინიმუმ-10, მაქსიმუმ-15) პროფესიული გადამზადების პროგრამის იმ პრაქტიკული კომპონენტების სწავლებას და შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია ერთობლივად შემუშავებული პროფესიული მომზადების პროგრამით.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 ,,აგროსერვისცენტრი" იღებს ვალდებულებას:

ა) ხელი შეუწყოს როგორც პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელის გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე მათი ცნობიერების გაღრმავებას მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის საკითხებში;

ბ) ხელი შეუწყოს მსმენელების მიერ სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

გ) ბსუ-სთან ერთად ორგანიზება გაუწიოს მცენარეთა ინტეგრირებული დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს (კონფერენციები, საინფორმაციო შეხვედრები, სადემონსტრაციო პროექტები) ჩატარებას;

დ) ამ მემორანდუმის მოქმედების ფარგლებში უზრუნველყოს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" განსახორციელებლად საჭირო და წინამდებარე მემორანდუმის დანართი 1-ით განსაზღვრულ ტექნიკურ აღჭურვილობაზე მსმენელების თავისუფალი დაშვება აგროსერვისცენტრში დადგენილი წესების შესაბამისად;

ე) რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების განხორციელების მიზნით გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის პირი, რომელიც პროგრამის შესაბამისად უზრუნველყოფს მსმენელთა (მინიმუმ-10, მაქსიმუმ-15) სწავლებასა და შეფასებას;

ვ) პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად უზრუნველყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო რესურსი და ხელი შეუწყოს პროგრამის მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობას;

ზ) გამოყოს შესაბამისი ფართი პრაქტიკული სწავლების განხორციელების მიზნით;

თ) უზრუნველყოს მსმენელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემო;

ი) ხელი შეუწყოს სტანდარტების შესრულების მონიტორინგს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში;

კ) წერილობით აცნობოს ბსუ-ს მისი ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის და ისეთი სხვა გარემოებების დადგომის შესახებ, რაც გამოიწვევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, შესაბამისი გარემოების დადგომამდე ერთი თვით ადრე, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი გარემოების დადგომიდან შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში.

3.2 ,,ბსუ" იღებს ვალდებულებას:

ა) შეიმუშაოს პროფესიული გადამზადების პროგრამა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს ,,აგროსერვისცენტრის" წარმომადგენლის/წარმომადგენელთა ჩართულობა პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში;

გ) ,,აგროსერვისცენტრთან" კოორდინაციით უზრუნველყოს მსმენელთა გადამზადება;

დ),,აგროსერვისცენტრთან" კოორდინაციით უზრუნველყოს პროფესიული გადამზადების პროგრმის შეუფერხებელი განხორციელება;

დ) უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური პერსონალის ჩართულობა პროგრამის ს პროცესში;

ე) მაღალ დონეზე უზრუნველყოს პროფესიული გადამზადების პროგრამის მიმდინარეობის პროცესის ადმინისტრირება;

ვ) ხელი შეუწყოს სტანდარტების შესრულების მონიტორინგს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებაზე, პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფაზე, რეესტრის წარმოებაზე და პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელებზე სერტიფიკატების და შესაბამისი დანართების გაცემაზე;

თ) წერილობით აცნობოს ,,აგროსერვისცენტრს" პროგრამის განხორციელების უფლების ჩამორთმევის ან პროგრამის განხორციელების უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

ი) ხელი შეუწყოს ,,აგროსერვისცენტრის" მიერ ამ მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შესრულებას და უზრუნველყოს მისი ჩართულობა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" განხორციელებაში.

მუხლი 4. მემორანდუმის შეწყვეტა

მხარეებს შეუძლიათ ამ მემორანდუმის რომელიმე პუნქტის/პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტონ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მეორე მხარესათვის 30 დღით ადრე წერილობითი შეტყობნების საფუძველზე.

მუხლი 5. მემორანდუმის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

წინამდებარე ურთიერთშეთახმების მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის დეკემბრის ჩათვლით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადმინიტრაციული მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის 32/35 ს/კ 245428158 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge ტელ: +995 (422) 27–17–86;	ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი" ს/კ 445399391 დირექტორი: რაულ თავართქილაძე ადმინიტრაციული მისამართი: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.N46ა ელ. ფოსტა: agroservice.centre@yahoo.com მობილური: +995 558498484; ტელ. +995 (422) 27 99 29
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, მურმან ხალვაში (ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ აგროსერვისცენტრს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დანართი N1

მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლითაც მსმენელები ისარგებლებენ „აგროსერვისცენტრი“-ს ბაზაზე პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ განხორციელების ვადით

N	ინვენტარის დასახელება	ინვენტარის მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა ჯგუფზე
1	აგრომეტეოროლოგიური სადგური	აგრომეტეოროლოგიური სადგური, რომელიც შესაძლებლობას მისცემს პრაქტიკაზე მისულ მონაწილეს დაეუფლოს უნარებს არსებული კლიმატური პარამეტრების განსაზღვრისა და ფიტოსანიტარული მონიტორინგის, მავნებლების და დაავადებების განვითარების პროგნოზის თაობაზე.	ცალი	1
2	ტრაქტორი და მასზე მისაბმელი საწამლი აპარატი	დიდი გამავლობის ტრაქტორზე მისაბმელი საწამლი აპარატი 200 მეტრიანი წელა მილით და მომზადებული ხსანრის გაფრქვევის დისპერსიული ტექნოლოგიით.	ცალი	2
3	ბაღის მობილური შესაწამლი აპარატი	ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატი 200 მეტრიანი წელა მილით და მომზადებული ხსანრის გაფრქვევის დისპერსიული ტექნოლოგიით.	ცალი	1
4	ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატი	მცირე ზომის მცენარეებზე წამლობისათვის	ცალი	4
5	წყლის EC, pH +ტემპერატ.	წყლის მრავალფუნქციური ციფრული ტესტერი TDS/pH/EC/Temp	ცალი	1
6	ნიადაგის pH -მეტრი	საველე პირობებში ზომავს ნიადაგის არეს რეაქციას ანუ მჟვაიანობას pH მაღალი სიზუსტით.	ცალი	1
7	ციფრული მაკროსკოპი	ადაპტირდება ნოუთბუქთან და უადვილებს მცენარეთა დამცველს მავნებელ-დაავადების იდენტიფიცირებაში. ასევე ირებს ფოტოებს და ვიდეოებს. ობიექტს ადიდებს 300 ჯერ. (ციფრული ფუნქციით 1200 ჯერ)	ცალი	1
8	საველე ლუპა	გამოიყენება ველზე მუშაობისას მავნებელ-დაავადებების იდენტიფიცირებისათვის	ცალი	3
9	სხვადასხვა სახეობის აღჭურვილობა, ინვენტარი და ჩასაცმელი	აღნიშნული საშუალებები გამოიყენება წამლობის დროს საველე პირობებში	კომპლექტი	15
10	ფერომონები	აგროსერვის ცენტრის ნაკვეთებზე სხვადასხვა სახეობის ფერომონები განთავსებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, მავნებლების იდენტიფიცირების მიზნით.	ცალი	10
11	პესტიციდების ასაწყავი ჭურჭელი		ცალი	10
12	ბარი		ცალი	15
13	თოხი		ცალი	15

ბსუ-ს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლითაც მსმენელები ისარგებლებენ პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ განხორციელების ვადით

N	ინვენტარის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა ჯგუფზე
1	მსმენელის მაგიდა და სკამი	კომპლექტი	15
2	მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამი	კომპლექტი	1
3	კომპიუტერი	კომპლექტი	1
4	პროექტორი	ცალი	1
5	მცირე ზომის სასხურებელი	ცალი	2
6	შესასხურებელი ზურგის აპარატი (ელექტრო)	ცალი	1
7	ბარი	ცალი	2
8	თოხი	ცალი	2
9	ლუპა	ცალი	2
10	ელექტროსასწორი (1-100გ)	ცალი	1
11	დამცავი აღჭურვილობის სრული კომპლექტი	ცალი	1